საქართ. მემარცხენე სოც.-დემოკრატიული პარტია

მთავარ კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 45,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე 150,000 მ.; უკანასკნელზე 100,000 მ. კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი დამფუძნებელი კრების ქ. № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ფასი 7,000 მან.

№ 137

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუთშაბათი, თებერვლის 2

1922 წ.

თამარ და კოტე მაყაშვილები, ეკატერინე გაბაშვილისა, თამარ; თარხნიშვილისა, ილია და იოსებ მაყაშვილები ოჯახითურთ აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველთა შვილის, მეორის შვილის შვილის და დანარჩენთა ძმისწულის

ეკატერინე (კატუნა) მაყაშვილის

გარდაცვალებას იანვრის 31-ს. პანაშვიდი ხუთშაბათს, თებერვლის 2-ს 5 საათზე ვერის წმ. ნიკოლოოზის ეკლესიაში. დაკრძალვა მოხდება პარასკევს, თებერვლის 3-ს იმავ ეკლესიის სასაფლაოზე წირვისა და პანაშვიდის შემდეგ 12 საათზე.

ელისაბედ, ეფემია და ნინო ხელთუფლიშვილები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, ნ თებერვალს, დიდუბეს ეკლესიაში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი მათი ძვირფასი და დაუვიწყარი ძმის ყოფილი სენატის თავმჯდომარის

დავით ბესარიონის ძის ხელთუფლიშვილის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება 10 საათზედ და პანაშვიდი 12 საათზედ.

## პარტიულ ორგანიზაციებს

ვინაიდან გაზეთი „ტრიბუნა“ სავსებით გადადის საკუთარ მეურნეობაზე პარტიულ ორგანოებს ევალებათ სასწრაფოდ გაასწორონ გაზეთის ანგარიში რედაქციასთან.

## გენუა და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები

გენუას კონფერენციის მოწვევის იდეა ეკუთვნის ანტანტის უმაღლეს საბჭოს, რომლის სხდომა საფრანგეთის პრემიერს—ბრიანის თავმჯდომარეობით სწარმოებდა კანნაში. ესე იგი, გენუა ერთი ისტორიული ეპიზოდი ანტანტის კოალიციისა.

გენუას კონფერენციაზე პირველად შეხვდებიან დღემდე შეუერიგებელი ძალები და „საერთო“ საქმიანობას შეუდგებიან. ბურჟუაზიამ დღემდე ვერსად შესძლო თავისი საკუთარი ფრონტის გაერთიანება და „საერთო“ საქმიანობის გაჩაღება. ნაციონალ სახელმწიფოების ბურჟუაზია დაუპირისპირდა მეორე ნაციის ბურჟუაზიას და მათ გარეგნული დეკორუმიც ვერ შეადგინეს. შესძლებს თუ არა ბურჟუაზია დღეს „საერთო“ ენის გამონახვას პროლეტარიატთან?—რასაკვირველია ვერა! გენუას კონფერენცია კომპრომისების, დათმობათა და პოლიტიკურ რთულ კომბინაციათა კონფერენცია იქნება, მაგრამ არსებითად იგი ჩვენს წინაშე გამლის სულ ახლო მომავალში დიდი რევოლიუციონური ბრძოლების ისტორიულ სურათებს. ლოიდ ჯორჯი ვერ მოახერხებს გენუათი რუსეთში აფრიალოს იმპერიალისტური დროშა. ამას ჩვენ სულ ახლო მომავალში დავინახავთ.

ჩვენ აქ გვაინტერესებს უმთავრესად ანტასტის პოზიცია ამიერ კავკასიის რესპუბლიკების მიმართ გენუას კონფერენციაზე. ჩვენს „საზოგადოებაში“ გენუას კონფერენციაზე დიდ იმედს ამყარებენ. ერთი თვე და ყველაფერი გაირკვევა! უკანასკნელი თვე, მხოლოდ ერთი თვე და კომუნისტების სინსილაც მოისპობა!

ქართველი ხალხი და შეგნებული ინტელიგენცია დიდი ხანია ბოშორდა საბავშვო ასაკის ასეთს პოლიტიკურს ფილოსოფიას. ჩვენთვის გამორკვეული ძირითადი დებულება იყო და არის, რომ ანტანტისათვის არავითარი პროგრესიული მიზანი არ არსებობს გარდა საკუთარი ტლანქი მერკანტილისტული ინტერესებისა. ანტანტა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობას სწყვეტდა მხოლოდ კომუნიზმთან ბრძოლის წარმოების თვალსაზრისით, ხოლო ჩვენი ქვეყნის ინტერესებს არ აშორებს ტილოს და სპილენძის გასადების საქმეს.

ანტანტამ ბოლშევიკებთან ბრძოლის პროცესში ადიარა, მაგალითად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა. ეს მთავრობა დღეს თვითონ სდგას ანტანტასთან, მაგრამ ეი გენუას სამსოფლიო კონფერენციას აწყობს იგივე ანტანტა, სწყვეტს ამიერ-კავკასიის საკითხს და თავის მიერ აღიარებულ რესპუბლიკებს და მთავრობებს არ იწვევს! რაშია საქმე? განა დემოკრატიული რესპუბლიკები სწორუფლებიან წევრებად არ მიიღო იმავე ანტანტამ ხალხთა ლიგაში?

გენუას კონფერენცია ასე თუ ისე გადასჭრის რუსეთის საკითხს, იგი რასაკვირველია შეეხება მთელ კავკასიასაც, მაგრამ ამ საქმეებში რუსეთი სწორუფლებოვან მონაწილეობას იღებს, ხოლო „ხალხთა ლიგის“ წევრები—რესპუბლიკები—გარეშე რჩებიან!

რას ნიშნავს ეს? არის თუ არა ყოველივე ეს გამართლება იმ ჩვენი მთავარი აზრისა, რომ ანტანტასთან ურთიერთობა არსებითად საქართველოს დადუპკაა, რომ ჩვენი ქვეყნის ორიენტაცია შეიძლება იყოს მხოლოდ ანტი ანტანტური?!

ექსორია ყოფილ მთავრობების მონაწილეობა გენუას კონფერენციაზე საგულ სხმიერო იქნებოდა უმთავრესად მით, რომ იგი სავსებით ნათელყოფდა კიდევ მეათასჯერ ანტანტის სრულს პოლიტიკურ სიკოტრეს.

საქართველოს მესვეურების ისტორიული შეცდომა ანტასტასთან ლ „ხალხთა ლიგა“-სთან დაკავშირება იყო. ამ აზრის სიძლიერე დღეს ყველამ უნდა შეიცნოს და ამ მხრივ გამოარკვიოს თავისი პოლიტიკური მზოფლმხედველობა.

ამ აზრს ვიცავდით ქართველ ხალხში მუდამ და ეს იყო ჩვენი ჩირაღდანი პოლიტიკურს ბრძოლაში. რამდენი სისხლი გადარჩებოდა ქართველ ხალხს ამ ჩირაღდანით სიბრძოლით? რამდენი ტრაგიკული განცდა აგვცდებოდა და ოდოდენად დაწინაურებული ვიქნებოდით პოლიტიკურად, ეკონომიურად, ეროვნულად ეს ჩირაღდანი რომ არ დაგვესახა ბარბაროსობის სიმბოლოდ?

გვიან ეხლაც არ არის, თუ მას ეხლა მაინც გამოვიყენებთ პოლიტიკურ მიმართულებათა რევიზიაში.

მავრი.

## რევოლიუცია და ინტელიგენცია

„Революция преодолела все преграды, уверенно и властно вошла в русскую жизнь и накрепко утвердилась в ней“.

—

„События нам показали, что мы ошибались, что путь наш лежал в неверном направлении... Ми готовы сознатся в своей ошибке и изменить дорогу“...

მემარცხენე კადეტების კრებული—„ᲘᲛᲔᲜᲐ ᲕᲔᲑᲘᲓᲐᲜ“.

1914—18 წ. დიდმა ომმა გამოაშკარავა კაპიტალისტური ცხოვრების წიაღში არსებულნი წინააღმდეგობანი მთელი თავისი შიხაარსით და მაძიებელ ადამიანის წინაშე გამოუთქმელის სიძლიერით დასვა საკითხი: კვლავ ძველი კაპიტალისტური გზით სვლა თუ ახალი საშუალებებისა და გზების გამოძებნა კაცობრიობის წინმსვლელობისათვის. პირველი გზით სვლა უდრიდა ახალი საერთაშორისო ომების წარმოებას მსოფლიოს დიდ-ტანიან გიგანტების შორის, საწარმოო ძალთა განადგურებას, მაშასადამე მსოფლიოს გადატკეცვასა და სისხლის შორებას. ეს არის გზა კაპიტალიზმისა და იმპერიალიზმის, რომელნიც თავისავე წიაღში ატარებს საერთაშორისო კონფლიქტების აუცილებლობას. მეორე გზა მოითხოვდა თანამედროვე სოციალ-პოლიტიკური წყობილების ძარიანად გარდაქმნას ახალ საერთაშორისო ურთიერთობაზე, მისი ეკონომიური ფუძის გამოცვლას. ეს გზა—კაპიტალისტური წარმოების დიკვიდაციის გზა არის, რომელიც ძირშივე სპობს საერთაშორისო იმპერიალისტურ შეჯახების შესაძლებლობას.

აი ასეთი ალტერნატივის წინაშე დადგა კაცობრიობის შეგნებული ნაწილი ომის დასიწყისიდანვე და დღესაც ეს დიდი კითხვა ტონსა და შინაარს აძლევს საერთო ცხოვრების მიმდინარეობას. კაპიტალიზმი თუ სოციალიზმი—ეს საკითხი ყოფს დღეს კაცობრიობას ორ მოწინააღმდეგე ბანაკად და თვით სოციალისტური ენით მოლაპარაკე პარტიებსაც ვერ მოუძებნია ერთი საერთო აზრი იმის შესახებ, კაპიტალიზმი, თუ სოციალიზმი იხსნის კაცობრიობას განადგურებისაგან დღევანდელს პირობებში.

ბრძოლა დაუცხრომელი და გამწვავებული სწარმოებს ორ მოწინააღმდეგე კლასის შორის და ალბათ ამ ბრძოლაში უნდა გადასწყვიტოს კაცობრიობის შემდეგი სავალი გზები. სოციალიზმისა და კაპიტალიზმის, პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის დაპირისპირებით დღევანდელს პირობებში არ სწყდება მარტო მათი კლასიური ინტერესები, ეს ბრძოლა არ შეიფარგლება მარტო ეკონომიური და პოლიტიკური საზღვრებით; ბრძოლის შინაარსი უფრო ღრმა არის და მისს მსვლელობასთან დაკავშირებულია უდიდესი კულტურული ამოცანები და მორალური პრობლემები, დღევანდელმა ბრძოლამ ბრალმასა და კაპიტალს შორის უნდა გადასწყვიტოს კაცობრიობის არა მარტო პოლიტიკურ ეკონომიურ აყვავების საკითხი, არამედ კულტურულ-ინტელექტუალური გაჯანსაღების საქმეც.

იმპერიალიზმმა გაანადგურა, გაალტაკა ეკონომიურად მსოფლიო, დასცა ზნეობრივად მისი კულტურა, დღეს მსოფლიო გახრწნილების ჭაობში იძრაობა და მისი იქიდან ამოყვანა შესაძლებელია მხოლოდ საერთაშორისო სოციალისტური რევოლიუციის გზით, რომელიც არსებითად გარდაქმნის მსოფლიოს შინაგანს წყობილებას რაციონალურს საფუძვლებზე.

კითხვა იბადება ამ დიდს გიგანტიურს ბრძოლაში, რომელსაც აწარმოებს საერთაშორისო პროლეტარიატი და მშრომელი მასები კაცობრიობის განახლებისათვის, როგორი როლი შეუძლია ითამაშოს ინტელიგენციამ. საზოგადოების ამ „გონიერ“ ნაწილს? საით არის მისი გული ყური მიპყრობილი; პროლეტარიატისაკენ თუ ბურჟუაზიისაკენ?

წინდაწინვე უნდა ვიცოდეთ, რომ საერთოდ ინტელიგენცია ჩვენთვის არ არის ერთხელ გარკვეული მკნების მატარებელი, რომელიმე ჩამოყალიბებული კლასის იდეოლოგიის გამომსახველი. ინტელიგენცია საერთოდ სხვა და სხვა წრეებისაგან შესდგება და ამიტომ, მისი იდეოლოგია და ინტერესებიც სხვა და სხვანაირია. ყოველ კლასსა, თუ წრეს თავისი ინტელიგენცია ყავს, გარკვეული კლასიური იდეოლოგიის გამომსახველი. ინტელიგენციის სულისკვეთება, ინტერესები და ბიზნები არ შეიძლება დავაშოროთ კლასიური ცხოვრების, სოციალ-პოლიტიკური ვითარების საზღვრებს. ინტელიგენცია ამ საერთო ცხოვრების ქვაბში იხარშება და ის გარკვეული ითვისებს ამა თუ იმ კლასის ინტერესებს. ამ გარემოებას საგრძნობი დემარკაციული ხაზი შეაქვს ინტელიგენციის საერთო ოჯახში და აჯგუფებს მათ სხვა და სხვა კლასიური ორგანიზაციებს ირგვლივ.

ინტელიგენციის სოციალური რევოლიუციისადმი დამოკიდებულების საკითხიც ამ საერო კლასიური საზომით უნდა იქმნეს განხილული. ინტელიგენცია ურიგდება სოციალურ რევოლიუციას იმდენად, რამდენადაც ასეთი დიდ სოციალური ტრანსფორმაციები არის მისი კლასიური იდეოლოგიისათვის.

სიმონ ხუნდაძე.

(შემდეგი იქნება).

## პარტიული მუშაობა ვლადიკავკაზში

ლეჩხუმი.

უკანასკნელს დროამდე ჩვენი პარტია ლეგალური ვერ იქნა და ვერ ეღირსა ლეგალურ მუშაობას ლეჩხუმის მაზრაში. დაუცხრომელმა მუშაობამ ჩვენი ამხანაგებისამ ამ მხრივ თავის დადებით შედეგს მიაღწია, რუბიკონი გადალახულ იქმნა და ჩვენც საშუალება მოგვეცა მშრომელი გლეხობისთვის ჩვენი სიტყვა გვეთქვა და ამ ორი კვირის წინ დერეფარში, ლაილაშში და ცაგერში ორგანიზაციები დაგვეარსებია, უკეთ რომ ვსთქვათ, გაგვეახლებინა.

ეხლა კი მაზრაში მდგომარეობა სრულიად სხვანაირია. იანვრის პირველ რიცხვებში არჩეულ იქმნა დრ. სამაზრო კომიტეტი ხუთი კაცისაგან შემდგარი. გიორგი გელოვანი (თავმჯდომარე), გიორგი ახვლედიანი (მდივანი), ვარლამ ჩიქოვანი (თავმჯდომარის ამხანაგი), პარიმონ ხეცურიანი და შალვა მეავანაძე (წევრ.) და ლაილაშის სარეიონო კომიტეტი სამი კაცისაგან—გიორგი ჩაჩხიანი (თავმჯდ.), ნინა ჩაჩხიანი (მდივანი) და ალექსანდრე ბერუჩოვი. აღნიშნულმა სამაზრო და სარეიონო კომიტეტებმა მოჰფინეს სათემო და სასოფლო პარტიულ კომიტეტებით ლეჩხუმის მაზრის ნაწილი, სახელდობრ შიგნით ლეჩხუმი და მიიღეს პირველი ბრძოლა სათემო საბჭოების არჩევნებში.

სათემო საბჭოების არჩევნები მაზრაში არ დამთავრებულა შეწყდა ბოლშევიკურ პარტიის კონფერენციაზე ლეჩხუმიდან პასუხისმგებელ ბოლშევიკების გამგზავრების გამო და ვფიქრობთ არჩევნების კომპანიის განახლების შემდეგ არჩევნების შედეგები ჩვენთვის კიდევ უფრო კარგი იქნება. ხოლო ჯერჯერობით გაყვანილია ჩვენი ამხანაგების 80 პროც.—35 პროც.

ალ. ჭაბუკიანი.

## გენუას გარშემო

პარიზის ბ ზეთ „ტანი“ სწერს: ამერიკის მონაწილეობას გენუას კონფერენციაზე დიდი მნიშვნელობა აქვს. „ვაშინგტონის კონფერენცია რომ უფრო კარგად გათავებულიყო, გარდინგს არ გაუკირდებოდა შტატები ევროპის საქმეებში: ვაშინგტონის გამარჯვებას შეეძლო ოპტიმისტური განწყობილება შეექმნა გენუას კონფერენციაზე. ეხლა კი ისეთი სდგომარეობაა, რომ ამერიკის საზოგადოებრივი აზრი წინააღმდეგია გენუას კონფერენციაში მონაწილეობისა“.

— შვეიცარიის მთავრობა გენუას კონფერენციაში იღებს მონაწილეობას.

— ნაუენის ცნობით გაზ. „ობსერვერი“ ეცალმება რუსეთის მხრივ დელეგაციის თავმჯდომარედ ლენინის დანიშვნას. იგივე გაზეთი იუწყება, რომ უკრაინას, საქართველოს, სომხეთს და შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკას ეყოლება თითო დელეგატი.

— ოსმალეთს სურს ანტანტის უმაღლეს საბჭოს დაუშვას იგი კონფერენციაზე.

— „მატენ“-ის ცნობით მილიერანი სასტიკად კიცხავს ბრიანს გენუას კონფერენციისადმი დამოკიდებულების გამო „ეურნალი დე დება“ სწერს: ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ რუსეთში არსებულ წესწყობილების ცნობის წინააღმდეგ. დაახლოვებით ასეთივე აზრისაა „ეკო დე პარი“.

## მომღერალი თამარ წერეთელი

მე მახსოვს წარსული წლის
თიბათვე.
ქართული კლუბი.
ადგურთოვანება.
შეუკავებელი ტაშის ცემა.
შეუწყვეტელი გამოხმობა.
ყვავილები—საჩუქრად,
ეს იყო თამარ წერეთლის კონცერტზე.

მაშინ კიდევ სრულიად ახალი ძალა, ახალი ნერვი ბოშური რომანსების შინაგანი სიცოცხლის ასამღერებლად.

მორცხვად, ფარული მოკრძალებით იდგა სცენაზე დაბალი ტანის ქალწული ყელზე კრიალოსანით და იწოდა უცნაურ განცდით.

შავგვრემანი, სხვილ თვალა ქალწულის სიმღერაში სიამით იშლებოდა ბოშური რომანსის ენებიანი ტემპერამენტი, ხან მაიარული, ხან დატვირთული სევდის სიმძიმით და ხან მოქვითი-

ნე, ფარულ ცრემლებში. მაშინ ჩვენ ასე ვსთქვით;

— „ბოშური რომანსების და თამარას სულს შორის ჩვენ უნდა ვნახოთ სრული იგივეობა. ამას ის მიაღწევს. შეასრულებს,"

დრომ გადამართლა ჩვენი წინათქმა. თამარამ სახელმწიფო კონსერვატორიაში 28 იანვარს აამაღლა ჩვენი სიტყვა.

შაბათის კონცერტზე ჩვენ ვნახეთ.

— თავისუფალი თავის დაჭერა, შიშსა და მოკრძალების ნაცვლად გაშლილი სითამამე.

შესრულებაში კი განცდის გადრმავება, ხმის ამეტყველებასთან ჰარმონიული დაკავშირება გარეგნული მოძრაობის, რაც აკლდა მას „თიბათვეში". ყვავილით ხელში, თავგადახრილი თამარა დღეს უფრო კარგია, უფრო თავისუფლად უჭირავს თავი.

ერთი სამაგალითო სიმვოლიკა:

— თამარა იმდენის ყვავილით ხელში და სიმღერის პროცესში გაშლილ ყვავილს ხან სიყვარულით ეალერსება, ხან ეფერება ფარული სიბრალულით და ხან კიდევ თითებშივე ჰკლავს, ეჭიკობს, ახმობს მას.

„ღვთის გულისათვის აჩუქეთ რამე"— სტირის ლამაზი ხმა, რომლის ქვითინთან და მომდევნელი ქალის თითები სიბრალულით, შეწუხებით ეალერსება ყვავილს.

საძაგალითო გამარჯვებაა, ხელოვნების.

ერთი დეფექტი—ზოგიერთი რომანსები მოითხოვენ მეტ სიცოცხლეს, ეს აკლდა მას.

იმედია ეს მცირე დანაკლისი შემდეგისათვის იქნება შესწორებული.

მ. ღ—ა.

## რაზიკაძეილი... ჯიბლაძე

— საშა..

— თედო...

შეწყდა მათი მაჯის ცემა... მათი არსებობა წარიშალა ამ ქვეყნიდან...

ორი კეთილშობილი,—ორი სპეტაკი სიცოცხლე გაიტაცა სიკვდილმა.

— თედო მოჰკლეს...

— საშა,—განუკურნებელმა სენმა გადაიტანა...

. . .

— რა ჰქონდა საერთაგო თედოს? ვისთვის ან ისი დამავება შეეძლო ამ კეთილშობილ მამულიშვილს?

— თედო და ვერაგული სიკვდილი?

1920 წლის მაწყურულში ვნახე ის უკანასკნელად, თავის საყვარელ ხელთუბანში... იქ ის მეურნეობას ეწყოდა... იქ ის მწერლობდა...

იქ თედო გლეხაკობასთან ხელი ხელ ჩაკიდებული, ცხოვრებას ებრძოდა.

ის მხნე კაცი იყო... მხნე სულიერად და დუხჭირ ცხოვრებას,—სასოწარკვეთილებით არ უჩოქებდა.

თედოს სახლის კარები—მუდამ ღია იყო ყამვლელ-გამოვლელისათვის.

თუ თორთიბის მასპინძელი ქარუმიძეა საშა, ხელთუბნის პირველობაში თედოს არ ჰყავდა მეტოქე...

დინჯათ, გრძნობით—ეგანატე ინგოროყვა სათვის მის მიერ მიძღვნილი ლექსის წარმოთქმას უსმენდა, უსმენდა და ვერწყუნდებოდა, რომ საშა არ იყო მცოცხარე ინტელიგენტი.

და მიკვდებოდა გული, როცა მის ფილტვების ხანეულებისაგან აკრთალს სახეს შევსცქეროდი...

საშა, უთვალავი, შენებრ წამებული გვამები გახვევიან გარს მკრთალი, ტანჯული—დაწყლულებული და ხანეულებისაგან დადარული სახეები...

. . .

იძინეთ, იძინეთ მშვიდად! თქვენ იგემეთ ამ მკეცნიერი სიორგულე.

მ. ხუხუნაიშვილი.

## ახალი ამბები

— **იბრეშუმის პარკის გახახმობა ქარხნები.** სახალხო სასურსათო კომისარიატის კოლეგიტივის დადგენილებით, შეწყვეტულ უნდა იქნეს აბრეშუმის პარკის სახმობი ქარხნები: ლანჩხუთის, სამტრედიის, ხონის და ოზურგეთის, რიგები გაუკეთა გერმანეთის პრესამ „დეიჩე ალგემანეზეიტუნგი" და აღნიშნავს, რომ ამგვარი გადაწყვეტილება ამიერიდან არ შეეფერება იმ მიზნებს და ამოცანებს, რომლის შესახებაც არაერთხელ ამბობდა გარდინგი, როცა ეხებოდა საგრთაშორისო დამოკიდებულებას.

რომი. ამერიკის პრესა ადასტურებს ცნობებს, რომ ამერიკა გენუას კონფერენციაზე მონაწილეობას არ მიიღებს ამის უმთავრესი მიზეზი არის საფრანგეთის პოზიცია ვაშინგტონის კონფერენციაზე და პუანკარეს დანაშვნა საფრანგეთის მთავრობის სათავეში.

ბორდო. გაზეთი „პონიულერი გარკვევით ადასტურებს, რომ გენუას კონფერენცია განიცდის ფიასკოს თუ მასზე მონაწილეობას არ მიიღებს ამერიკის მთავრობა.

ბორდო. 28 იანვარი. ინგლის-საფრანგეთის მოლაპარაკებას საფუძვლად უდევს 4 საკითხი—1. დამატებითი გარანტიები კანაში მიღებული გეგმის. 2. საფრანგეთის წინადადება მცირე ბაბის პრობლემის გადაჭრისათვის და ინგერ-ძნეთ-ოსმალეთის კონფლიქტი 3. ტანჟერის ნავთსადგურის ნეიტრალიზაცია სულთანის სუვერენიტეტის შენარჩუნებით, 4. გენუას კონფერენციის შესახებ, რომლის საკითხებში საჭიროა წინადაწინვე შეთანხმება.

ბორდო. 29 იანვარი. ბრიტანეთის მთავრობამ ლოიდ ჯორჯის თავმჯდომარეობით გაანხილა ინგლისს-საფრანგეთის მოლაპარაკების პროგრამა და გაითვალისწინა, რომ მოლაპარაკება იქნება მეტად ძნელი და რთული, ძაგრამ იმედი შეთანხმებისა მაინც შეიძლება ვიქონიოდ.

რომი. 29 იანვარი. ვირტის სიტყვის შემდეგ, რეიხსტაგმა ნდობა გამოუცხადა მთავრობას. უნდობლობა, რომელიც შეიტანა კომუნისტებმა უარყოფილ იქნა.

## პირველ ლეგიონში

ყველასათვის აშკარაა თუ რა დიდი ინიშვნელობა ეძლევა საბჭოდრო ორგანიზაციის მოწყობას ლაშქრის შექმნისათვეს. საქართველოს წითელი ჯარი, რომლის ორგანიზაციის სტრუქტურა კიდევ არ დასრულებულა, ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული ერთ ძალიან, ერთეულ საბჭოდრო ფორმაში. და ასეთ დროს კარგად და სანიმუშოდ მოწყობილ ჯარის ნაწილს, უაღრესად დიდი მიმაზველობა ეძლევა საბჭოდრო საქმისათვის. პირველი ლეგიონი, საქართველოს წითელი ლაშქრისა, რომელიც უკანასკნელ ხანებში შესაფერისად ეწყობა ლეგიონის უფროსის და საბჭოდრო კომისრის ენერგიული მუშაობით, ყველ გაწმენდილა საეჭვებით ისეთი პირის თანამდებობისაგან, რო ელსაც შესაძლებელი დისონანსი შეიქვს ჯარია ორგანიზაციის საქმეში და, ნაკლით თუ უნაკლოთ, საბჭოდრო საქმისათვის ვნების მეტი ალბათობა მოიქვს.

ამ ეტაპად მზადყოფნაში ყოფილობ ამ (პირველი) ლეგიონის საბჭო ნაწილს. ეს ნაწილი გაანაგებს ლეგიონის ეკონომიურ-მატერიალურ საქმეს და მისი დასიმხულება, ცხადია საპასუხისმგებლოა. მე არ ვეხები ძის მოქმედეობის ახგარიშს, ალბათ, ალბათ სპეციალური კომისია გამოარკვევა, ამოლოდ აღვნიშნავ, რომ, ხაესებული ლეგიონის ამბნო ნაწილს „განაგებ" ვიხმე მეხგელია-ძველი მეჩანური სულისკვეთების პიროვნება, ოთმელიც სიკოლოზის ოეეიმის სამხედრო „ჩახოვნიკ" უფრო ყარმოადგენს, ვიდრე საქართა ხელისუფლების საბჭოდრო მოხელეს.

ეს მგონი, არ უნდა იყოს არც ერთი ძოსამსახურე ამ ლეგიონში, გარდა მასზე მაღალი თანამდებობის პიროვნისა, ოთმელიც ძისგან გალანძღული და შეგინებული არ იყოს. ისეთი „გაუსხეპელი" და ყინდაუბედავი საქციელი, ოგორსაც ის იჩენს წითელ არმიელთან ლაპარაკის დროს, ალბათ ბევრ ჯარისკაცს აუგორებს გულს საძსახურზე. ხშირია ისეთი შემთხვევა, როცა საქმეზე ძისული მოსაძსახურე მიუხედავთ თავაზიანი მიმართვისა, მისგან სასტიკად გალანძღული ბეურაცხყოფილი წამოსულა. კონკრეტული შემთხვევა: ორი დღის წინეთ ამავე ლეგიონის მასწავლებლებმა, ერთ ამხანაგთაგანს დავალეს გამოერკვია საბნეო ნაწილის გამგესთან თუ, როდის დაურიგდებოდა მათ ფეხსაცმელები, რომლებიც ზოგიერთს უკვე დიდი ხნის მიდებული ჰქონდა. იმის მაგივრად რომ გარკვეული პასუხი მიეცა მისთვის, მხეცური დრამალით და „მეუკეური" უზნეო საქციელით გაუმასპინძლდა, რიხიანი ტონით „უბრძანა" დარაბაზი დაეტოვებინა და ჩვეული უსუსური სიტყვებითაც მიმართა მას. განა შეეძლო მასწავლებელს საამისო შეურაცხყოფა მიეყენებინა რომ მას „გამგისაგან" გარკვეული პასუხი მიეღო?

— ამას გარდა არ არსებობს მისთვის ერთი გარკვეული სისტემა ტანსაცმელის დარიგებისა. ვისაც სურს და, რაც მოეპრანება, იმას აძლევს. ასეთი პიროვნების დარჩენა სამხედრო ნაწილში არაა სასურველი. უკიჟინებთ ჩვენ მას უვარგისობას და მის მოქმედების უსისტემობას.

გან—თარი.

## ვრცელ. ილჩენკოს კონცერტი

პირველად მოქ. ილჩენკოს დაკვრა გავიგონე 1912 წ. როცა ის ათავებდა მოსკოვის კონსერვატორიას, მაშინაც გადაჭრით შეიძლებოდა თქმა, რომ მისგან კარგი დამკვრელი გამოვიდოდა. ის კონსერვატორიის სიამაყე იყო, როგორც ეს მითხრა კონსერვატორიის დირექტორმა იპოლიტოვ-ივანოვმა. ბედმა შემდეგ მოქ. ილჩენკო საქართველოში მოიყვანა, ხოლო სახელმწიფო მეორე კონსერვატორიამ დიდათ მოიგო მისი პროფესორად მიწვევით. მრავალფეროვანმა პროგრამამ შეძლება მოგვცა გავცნობოდით ახალგაზდა დამკვრელის ნიჭს ყოველმხრივ.

მე ძიპრის ალვნიშნო თუ მის დაკვრაში რომელი მხარე უფრო სჭარბობს. მისი ესრულება ბრწყინვალეებდა ტექნიკით მესამჩნევი—rondo copricoiso-ში Lep-სანსის და უფრო ძეტად ამავე კომპოზიტორის საკონცერტო ვალსში. იშვიათად კარგათ იქნა შესრულებული კონცერტი ვენიავსკის bis-moll, დაცული სტილი იყო მოცარტის ძოხდენილ მენუეტში. კონცერტში მონაწილე მოქ. გენგროსის სიმღერა დილეტანტური იყო. მისი ხმა მხოლოდ მაღალ რეგისტრში ლამაზი, საშუალო და ქვედა ყრუა და არ ისმის. ძომდერალი ქალის შესრულებაში ხშირია დეტონაცია, იმდერის ფრაზირებით, ცუდია ფონეტიკა. ძოქ. ილჩენკოსთან გამოსულმა პიანისტკამ კამაროვა-პატრინამ კარგი ტანხნიკა, მუსიკალობა გამოიჩინა. მისი ნიჭის ინდივიდუალური მხარე გამოიკვეთა როცა შეასრულებს solo-ს და იქნება არა ensemble ში.

მოხდენილად ძალევდა აკომპანიმენტს მოქ. ფლორეანი, რომელიც გამოვიდა როგორც კომპოზიტორიც. მხოლოდ მისი რომანსები დიდ ვერაფერს შემატებს რუსულ რომანსების რეპერტუარს. მისი რომანსები ნაკლები მუსიკალურია.

ჰ. ბ.

## აგრეშუმის პარკის ოპერაციის 1921 წ.

სახალხო სასურსათო კომისარიატის ცნობით 1921 წელში აბრეშუმის მოსავალი დასავლეთ საქართველოში უდრიდა 80,000 ფ. ხედლ პარკს, საიდანაც უკანასკნელ დროამდე შეკოვილია 12000 ფ. ნედლი ან 4000 ფ. გამხმარი პარკი და 50 ფ. ამობვეული აბრეშუმი. მიუხედავად არა საეურველი ობიექტიური პირობებისა, კაძპანიამ მოგვცა ძნიშვნელოვანი შედეგი, ვინაიდან ძეკოებილი პარკის რაოდენობა მოსავლის 15 პროც. უდგის. როდესაც 1920 წლის მოსავალი, რომელიც გატარებული იყო აგრეთვე სახელმწიფო მონოპოლიის წესით და უფრო ნორმალურ პირობებში, უდრიდა მოსავლის არა უმეტეს 20 პროც.

ფართელეულის კრიზისის გადრმავების გამო და ამით გამოწვეულ საკუთარ მოთხოვნილებათა გაძლიერების გამო, მეაბრეშუმეობა გლეხები ალარ უშვებენ აბრეშუმეობას მაზარზე გასასყიდად. უნდა ვიფიქროთ, რომ საკუთარ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის დახარჯულია 40 პროც. მოსავლისა.

პარკის დირებულება, რომელიც დაამზადა სარეალურ სასურსათო კომისარიატმა, საერთაშორისო ფასების მიხედვით დასავლეთ საქართველოში 30 მილიარდი მანეთით.

პარკის რეალიზაციით, 30 პროც. ადებული ჯამისა უნდა მიეცეს მწარმოებლებს, და 70 პროც. (30 მილიარდი მინუს; დაახლოვებით 4 ნახ. მილიარდი რეალიზაციის გამო დახარჯული) შეადგენს სახელმწიფოს წმინდა შემოსავალს.

## თეატრი და ხელოვნება

**სახელმწიფო ოპერა**

**„კარმენი"**

განახლებულ იქნა ბიზეს უკვდავი ოპერა „კარმენი". განახლდა და ისიც ისეთი საუკეთესო შემსრულებლებით, როგორც ახლა იყო, ძეტად სასიამოვნო ფაქტად უნდა ჩაითვალოს. კარმენის პარტია ძნელი შესასრულებელია, რადგან საჭიროა ხმაც (ბიზემ დასწერა მეცო-სოპრანოსთვის და შემდეგ გადაკეთა სოპრანოსთვის), დრამატიული ტალანტიც. ყოველივე ამას აკმაყოფილებს მოქ ბორონკინა, რომელმაც შეასრულა „კარმენის" პარტია. მაგრამ ყოველთვის ვერ დავეთანხმები მოღერალ ქალს პარტიის გაგებაში. ჩემი აზრით პირველ აქტში მოქ. ბორონკინას გადმოცემით კარმენი მეტად ვულგარული. ასევე ასრულებს კარმენს გამოჩენილი ამსრულებელი ამ როლის მარიამ გოიე, მაგრამ იმ რომანით კი, საიდანაც ბიზემ აიღო სიუჟეტი, კარმენი დასახულია როგორც ექსცენტრიული ქალი და არა ვულგარული. ძას შეუძლია გულწრფელად შეყვარება, თუმცა ხშირად ცვლის სიყვარულის საგანს, რაც მისი სიახალგაზრდით აიხსნება და არავითარ შემთხვევაში გარყვნილებით. შემდეგ მოქმედებებში ხოქ. ბორონკინა უფრო სწორი სახეს იძლევა. კარგია მისი კაკლუცობა ხოზესთან, მაგრამ შთაბეჭდილებას ახდენს ხშირი სიცილით სიმღერის შეწყვეტა. მიმიკა უკეთესი იქნებოდა. დამაკმაყოფილებელი ვერ იქნა თამაში ბოშთა ქალებთან. კარგი იყო რჩევის სცენა და ესკამილიოსთან შეხვედრა. გრიმი გაგებულია, ტანისამოსები შესაძრნევია.

დონ-ხოზეს მოქ. სარაჯიშვილი ასრულებდა. სასიამოვნო ალსანიშნავია, როცა ხედავ, რომ ის თან და თან სეიოზულად ეპყრობა თითოეულ პარტიას. ხმა შესანიშნავად ისმის, ტემპერამენტიც აქვს, საკმაო გრძნობაც. სცენიური გადმოცემა მოფიქრებულია. ყველას სჯობდა მეორე მოქმედებაა ალბა. სიგულწრფელითა და ლიბიზმით სავსე, ბუნებრივად ჩაატარა მესამე აქტის საფინალო სცენა, ხოლო მე-4 აქტში ძველი სცენა კარმენთან მიმიდვეულია და მსმენელში თანაგრძნობას იწვევს, თუ სარაჯიშვილი განაგრძობს საქმისადმი ასეთ მოპყრობას დიდი საოპერო ძალიბობად შეიქმნება.

მაზოვეცკაიამ ძუსიკალურად შეასრულა მიქაელის პარტია. ალბა შესრულებულ უნდა იქნას ავანსცენაზე და საჭირო ხმის მეტი სიძლიერის მოცემა.

ძოქ. ინაშვილი ალბათ ავადმყოფი ხმით მღერის. შუა რეგისტრში ხმა ყრუდ ისმის; სცენიური გადმოცემაც ვერ არის დამაკმაყოფილებელი. ვურჩევ მეტი ყურადღებით მოეპყრას თავის ლამაზ ხმას. ოარკესტრი კარგად ისმის. სასიამოვნოდ იქნა შესრულებული intermezzo მე 3 აქტის და ხე-4 აქტის ანტრაქტი. დადგმა კარგია 1 აქტის გარდა, სადაც კარმენისა და ხოზეს მოძრაობისთვის ძეტად ცოტა ადგილია დატოვებული. ლამაზია გ თეხვა მთელ ხი ზღვასთან. ტუალეტ-უბრალოდ გამოტოტვეს კონტრაბანდისტთა კვინტეტი: ის მეტად ლამაზია.

ჰ. ბ.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი— მთავარი კომიტეტი,